საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N 1271 2024 წლის 9 სექტემბერი ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროსათვის თანხის გამოყოფის შესახებ

1. ცნობად იქნეს მიღებული, რომ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის – ერეკლე II-ის ძეგლის დამზადებისა და განთავსების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 26 აგვისტოს №1214 განკარგულების თანახმად, საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაევალა გამოჩენილი მხატვრისა და მოქანდაკის, მერაბ მერაბიშვილის ნამუშევრის მიხედვით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის – ერეკლე II-ის ძეგლის დამზადების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება, ხოლო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს – საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან შესაბამისი ფინანსური რესურსის გამოყოფა, საქართველოს კულტურისა და

სპორტის სამინისტროს წინადადების საფუძველზე 2024 წელს განსახორციელებელი ღონისძიებების დასაფინანსებლად.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ხარჯების დაფინანსების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს გამოუყოს 955 000 (ცხრაას ორმოცდათხუთმეტი ათასი) ლარი.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე